

NanoFiber®

მონობოჭკოვანი პოლიპროპილენის მიკრობოჭკო ცემენტის ხსნარისა და ბეტონისთვის

პროდუქტის განსაზღვრება

NanoFiber - შემცირებული მონობოჭკოვანი პოლიპროპილენის მიკრობოჭკო პლასტიკური მოკიდების ბზარებისა და პლასტიკური შეკლების ბზარების პრევენციისთვის. **NanoFiber** წარმოადგენს 18 µm დიამეტრის და 6 მმ სიგრძის მიკრობოჭკოს და ზღუდავს მიკრობზარების გაჩენას და გამსხვილებას, რასაც იწვევს ისეთი მიზეზები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ტვირთის ზეწოლასთან, მაგალითად შეკლება და პლასტიკური მოკიდება.

გამოყენება

NanoFiber რეკომენდებულია შემდეგი მიზნებით გამოყენებისთვის:

- პლასტიკური შეკლების და პლასტიკური მოკიდების ბზარების შემცირება
- დიდ ფართობზე დაგებული ბეტონი, ფილები და ბეტონის საფარები
- სამრეწველო ფილები
- წყლის ნაგებობები
- მონოლითური პანელების და ფასადების პანელები
- სასოფლო-სამეურნეო ნაგებობების ფილები და იატაკები
- სველი და მშრალი სისტემების გაფრქვეული ბეტონი
- ბეტონის და ცემენტის ხსნარის ალისადმი რეზისტენტობის გასაუმჯობესებლად
- ბეტონის კომპონენტები, რომლებიც ექვემდებარება დატვირთვას, როგორიცაა ხიმინჯები
- დაპრესილი ცემენტისებრი მასალები
- ცემენტის ხსნარები და გაჯის მასალები გამყარებისა და შეკეთების მიზნებისათვის

უპირატესობები და თვისებები

- ამცირებს პლასტიკური შეკლების და პლასტიკური მოკიდების ბზარების გაჩენის რისკს ბეტონში
- ამცირებს ბზარების რაოდენობას და სიმჭიდროვეს ბზარების გაჩენის საწყის ეტაპებზე

- აუმჯობესებს გამძლეობას ბეტონის შეღწევადობის შემცირების გზით ბზარების შემცირებული რაოდენობის გამო
- იოლი დისპერსია ცემენტისებურ მატრიცებში; სათანადო ადჰეზია ბეტონზე ზედაპირის განსაკუთრებული ტექსტურის გამო
- სრულად დნება დაახლოებით 180°C ტემპერატურის პირობებში და სრულად იშლება დაახლოებით 350°C ტემპერატურაზე. ბოჭკოს დაშლის ნარჩენები ასრულებს ურთიერთდაკავშირებული არხების როლს, რომლებშიც ცხელი და გაფართოებული ჰაერი გაედინება შიდა ზეწოლის წარმოქმნის გარეშე, რაც იწვევს ბეტონის დაბზარვას ხანძრის დროს. ამ მექანიზმით NanoFiber აუმჯობესებს ბეტონის ცეცხლგამძლეობას.
- ბზარების საკონტროლო ბადის ალტერნატივა
- აუმჯობესებს ბეტონის რეზისტენტობას დარტყმისა და აბრაზიის მიმართ
- აუმჯობესებს ფილების სიმტკიცეს ღუნვისადმი
- უზრუნველყოფს ბეტონის დაბზარვას ყინვა-დნობის ციკლის დროს
- NanoFiber არის მიკრობოჭკო, რომელიც არ ჩანს ბეტონის ზედაპირზე
- არ იჟანგება

გამოყენების დეტალები, რჩევები და გაფრთხილებები

- NanoFiber შეფუთულია 0.6 კგ წყალში ხსნად ტომრებში
- აუცილებელია სათანადო წესით მორევა ნარევეში ბოჭკოს თანაბარი განაწილების უზრუნველსაყოფად
- NanoFiber თავსებადია პორტლანდის ცემენტის ტიპებთან, რომლებიც აღწერილია TS EN 197-1 სტანდარტში. გარდა ამისა, მისი გამოყენება შესაძლებელია ბეტონის ნარევეებში, რომლებიც შეიცავს მინერალურ დანამატებს, როგორიცაა სილიკა-აირი, ნაცრის ნაწილაკები და ღუმელის გრანულირებული ნამწვი. სხვადასხვა ცემენტის ტიპებთან და დანამატებთან ერთად გამოყენებამდე რეკომენდებულია საცდელი გამოყენება.
- NanoFiber ნარევეებში დაცული უნდა იქნას გამყარების ნორმირებული პროცედურები
- NanoFiber არ არის ბოჭკოს სტრუქტურული ტიპი, რომელიც აერთიანებს დატვირთვის შედეგად გაჩენილ ბზარებს. სტრუქტურულ გამყარებას, ნაწილობრივ თუ სრულად, NanoFiber ვერ შეცვლის.
- მოწყობილი უნდა იქნას საკონტროლო ნაკერები ტემპერატურული და შეკლების ბზარების გაჩენის შეზღუდვის მიზნით
- NanoFiber ნარევეების წარმადობა, ჩვეულებრივ, უფრო დაბალია, ვიდრე სხვა ნარევეებისა. რეკომენდებულია პასტის შემცველობის გაზრდა და მისი წებოვნების დარეგულირება სუპერპლასტიფიკატორების მეშვეობით.

- ბოჭკოს ზედმეტი დოზა უარყოფითად მოქმედებს მის ვარგისიანობაზე (წარმადობაზე).

რეკომენდებული დოზები

NanoFiber რეკომენდებული დოზების დიაპაზონია 0.6 კგ (ერთი ტომარა) 1 მ³ ბეტონზე. რეკომენდებულია NanoFiber-ის დამატება ახალ ბეტონში სპეციალურ დანადგარში (შერევისთვის მზა ბეტონის დანადგარი). ამ შემთხვევაში, NanoFiber უნდა გაიხსნას შესარევი წყლის ნახევარში, ხოლო დანაჩენი შემადგენლები, დარჩენილ წყალთან ერთად, უნდა დაემატოს პირველ ნახევარში. მორევა აუცილებელია მაღალი სიჩქარის გამოყენებით. ასევე, NanoFiber შეიძლება დაემატოს ახალ ნარევს სამშენებლო უბანზე შერევის პროცესში. ამ შემთხვევაში აუცილებელია მორევის დროის გახანგრძლივება (3-5 წუთი მაღალი სიჩქარით, მინ. 70 ბრუნი) ბოჭკოს თანაბარი დისპერსიის უზრუნველსაყოფად. ტექნიკური მხარდაჭერისთვის დაუკავშირდით LYKSOR-ის კვლევებისა და განვითარების განყოფილებას.

ტექნიკური თვისებები

ფერი	თეთრი
ქიმიური სტრუქტურა	100% პოლიპროპილენი
ხვედრითი წონა	0.91
წყლის აბსორბცია	NIL
ბოჭკოს დიამეტრი (μm)	0.18 (ნომინალური)
ბოჭკოს სიგრძე (მმ)	6
ხვედრითი ზედაპირული ფართობი (მ ² /კგ)	250
დაჭიმულობის ძალა (MPa)	300 – 400
ელასტიურობის (დრეკადობის) მოდული (MPa)	~4000
დნობის წერტილი (°C)	160
ანთების წერტილი (°C)	365
თბო და ელექტროგამტარობა	დაბალი
მჟავამედეგობა	დაბალი
ტუტემედეგობა	%100

იარაღების დასუფთავება

NanoFiber ახალ ბეტონთან შეხებაში მყოფი იარაღები იოლად იწმინდება. გამაგრებული ბეტონის მოცილება შესაძლებელია მხოლოდ მექანიკურად.

შეფუთვა

0.6 კგ წყალში ხსნადი ტომრების შემცველი ყუთები.

შენახვის წესი და ვარგისიანობის ვადა

NanoFiber ვარგისიანობის ვადა შეადგენს 36 თვეს, თუ ინახება საკუთარ შეფუთვაში და შენახვის რეკომენდებულ პირობებში. NanoFiber ტომრები ინახება მშრალ, გრილ და სუფთა ადგილას.

უსაფრთხოება და ჯანდაცვა

NanoFiber წარმოადგენს არამავნე და არატოქსიკურ მასალას. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ქიმიური პროდუქტების უსაფრთხოების ტექნიკური სპეციფიკაციები (MSDS).

სამართლებრივი პასუხისმგებლობა

ტექნიკური რეკომენდაციები პროდუქტის ტექნიკური სპეციფიკაციის დოკუმენტში ეფუძნება ექსპერიმენტულ კვლევებს, რომლებიც ჩატარებული იქნა LYKSOR-ის კვლევებისა და განვითარების ლაბორატორიაში შემუშავებული ბეტონის სტანდარტულ ნარეგებზე. შედეგები შეიძლება განსხვავებული იყოს ბეტონის სხვა ნარეგებისთვის, რომლებიც წარმოებულია სხვა მასალებით. ყველა კლიენტმა და მომხმარებელმა უნდა გაარკვიოს, თუ რომელი პროდუქტი სჭირდება ამა თუ იმ მიზნისთვის და შეამოწმონ მისი შესაფერისობა ამ მიზნისთვის. დაუკავშირდით LYKSOR-ს შესაფერისი პროდუქტის შესარჩევად და გამოყენების დეტალების გასარკვევად. LYKSOR არ იღებს პასუხისმგებლობას პროდუქტების არასწორად გამოყენებაზე.